სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/131

ქ. თბილისი 14 აგვისტო 2020 წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციის“ ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**;

1. შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის №253 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია“ და ჩამოყალიბდეს დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე